საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლის შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს:

- 115 კრედიტი - ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი (მათ შორის სასწავლო პრაქტიკა ან საბაკალავრო ნაშრომი, თითოეული 10 კრედიტის მოცულობით);
- 20 კრედიტი - არჩევითი კომპონენტი, რომელიც მოიცავს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს;
- 30 კრედიტი - უცხო ენა;
- 5 კრედიტი - ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- 5 კრედიტი - აკადემიური წერა;
- 65 კრედიტი - თავისუფალი კრედიტები; აქდან, სტუდენტი უფლებამისილია, 60 კრედიტი გამოიყენოს უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი დამატებითი სპეციალობის გავლის მიზნით.

კურსის დასახელება	კრედიტი	სასწავლო კურსის მიზანი
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტები		
ეკონომიკის საფუძვლები	5	სასწავლო კურსი წარმოადგენს ეკონომიკის საბაზისო კურსს და მოიცავს ეკონომიკის ძირითად ცნებებსა და საკითხებს, როგორიცაა მოთხოვნა, მიწოდება და მათი ურთიერთდამოკიდებულება, ეკონომიკური რესურსები და მათი ზემოქმედება ეკონომიკაზე, საჯარო პოლიტიკა, ფულის ცნება და არსი, მთლიანი შიდა პროდუქტის ცნება და არსი, რისკის და რისკიანობის ცნება და არსი.
პოლიტიკური აზრის ისტორია	5	სასწავლო კურსი სტუდენტებს შეასწავლის საკვანძო პოლიტიკური ცნებებისა და იდეების საფუძვლებს. სტუდენტები გაეცნობიან პოლიტიკური იდეების ევოლუციას დროში; გაიაზრებენ და კრიტიკულად გააანალიზებენ სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკური მოაზროვნეების მიერ შემოთავაზებულ მსჯელობას თანამედროვეობისთვის აქტუალური პოლიტიკური საკითხების ირგვლივ. თუმცა კურსი მოიაზრებს სტუდენტებისათვის განსხვავებული პოლიტიკური ტრადიციის საფუძვლების გაცნობას, მის ფარგლებში განსაკუთრებით აქცენტირებულია თანამედროვე ლიბერალური სახელმწიფოს საფუძვლების შესწავლა.
ფილოსოფიის საფუძვლები	5	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან საკვანძო ფილოსოფიურ პრობლემს, შეისწავლიან ფილოსოფიური აზროვნების ფორმებსა და თავისებურებებს ისტორიული ეპოქებისა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ანტიკური პერიოდიდან

		დღევანდელობამდე. ფილოსოფიის კომპლექსურობიდან გამომდინარე სტუდენტები ეცნობიან ადამიანური ყოფიერების განმსაზღვრელ ფუნდამენტურ კითხვებს, რომლებიც კლასიკური სახით კანტმა ჩამოაყალიბა: რა შემიძლია ვიცოდე? რა უნდა გავაკეთო და რისი იმედი შეიძლება მქონდეს? ასევე კითხვებს სინამდვილის ბუნებისა და არსებულის როგორც ასეთის, სამყაროში ადამიანის ადგილის, ყოფიერების საზრისის, თავისუფლების, აუცილებლობის, პასუხისმგებლობისა და სამყაროს სუბსტანციის შესახებ.
მსოფლიო ისტორია	5	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან მსოფლიო ცივილიზაციის ქარგაში მოქცეულ საზოგადოებებს, მათი განვითარების ტრაექტორიებს, ურთიერთმიმართებებს და ზოგადსაკაცობრივო მიღწევებს.
სოციოლოგიის საფუძვლები	5	სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტს სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინის ძირითადი თეორიები, კონცეფციები და კვლევის მეთოდები, ასევე, გააცნოს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესები და არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის ხერხები. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან როგორც ზოგად და თანამედროვე, აგრეთვე პოლიტიკურ სოციოლოგიას.
პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლები	5	სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ იმ პოლიტიკური იდეებისა და დოქტრინების გაცნობიერებას, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკას. თითოეული იდეოლოგია განიხილება პოლიტიკურ, ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში. შეგედად, სტუდენტები გაიაზრებენ იდეებისა და მოძღვრებების გავლენას თანამედროვე პოლიტიკურ რეალობებზე.
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია	5	სასწავლო კურსი სტუდენტებს მისცემს ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო მოწყობის გეგმა და საფუძველი დაუდეს ახლებური მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რომის საღვთო იმპერიის დაშლის შემდგომ ვესტფალიის ხელშეკრულებით შექმნილ ევროპის ახალ, თანამედროვე პოლიტიკურ პრინციპებს და ფასეულობებს, რამაც რადიკალურად შეცვალა ძველი, რელიგიაზე

		დაფუძნებული პოლიტიკა და სათავე დაუდო დღევანდელ სუვერენულ და უსაფრთხო მსოფლიოს შექმნას; ამერიკის გამოჩენას თანამედროვე მსოფლიოში და მთელ რიგ ცვლილებებს საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე; საერთაშორისო ურთიერთობებს როგორც ცივი ომის პერიოდში, ასევე ბიპოლარული სისტემის დასრულების შემდგომ.
პროფესიული ინგლისური I; პროფესიული ინგლისური II	5; 5	სასწავლო კურსის მიზანია პროფესიული ინგლისური ენის შესწავლა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სათანადო ცნებების დაუფლება, რათა სტუდენტმა უფრო თავისუფლად შეძლოს აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა ძირითადი ცნებების ცოდნის საფუძველზე.
შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ზოგად ცოდნას პოლიტიკის, როგორც მეცნიერების შესახებ და გაეცნობიან პოლიტიკური მეცნიერებების ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების არსს.
საერთაშორისო ორგანიზაციები	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ ტიპოლოგიას, საერთაშორისო ურთიერთობებში მათ როლსა და ფუნქციებს. კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი, მათი სტრუქტურა და ფუნქციონირების თავისებურებები.
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	5	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გააანალიზებენ საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების არსს და შეისწავლიან მის ძირითად თეორიებს. კურსის მიზანია სტუდენტებს შეუქმნას თეორიული საფუძველი საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისათვის.
საერთაშორისო საჯარო სამართალი	5	სასწავლო კურსი სტუდენტებს შეასწავლის საერთაშორისო საჯარო სამართალს, როგორც სამართლის დამოუკიდებელ დარგს; სტუდენტები გაეცნობიან მის სისტემას, მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს, მათ გამოყენებასა და განმარტებას; კურსი განიხილავს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის მთავარი ასპექტებს, რათა სტუდენტებმა გაანალიზონ საერთაშორისო ხელშეკრულებების სახეები, მათი დადების წესი და ეტაპები.

კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სოციალური მეცნიერებების კვლევის არსსა და მისი ჩატარების მეთოდოლოგიას. კომპლექსური თეორიული ცოდნის მიღების გარდა, კურსის მიზანია სტუდენტებმა გამოიმუშავონ სოციალური მეცნიერებების კვლევის ჩატარების პრაქტიკული უნარები სემესტრის განმავლობაში კვლევითი პროექტების განხორციელების გზით.
საერთაშორისო პოლიტიკა	5	სასწავლო კურსი მიმოიხილავს საერთაშორისო პოლიტიკის მიმდინარე, ყველაზე აქტუალურ საკითხებსა და ძირითად ტენდენციებს. დამატებით, კურსის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებს კვლევითი ინტერესების განსაზღვრაში.
საერთაშორისო ეკონომიკა	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები გაერკვევიან საერთაშორისო ვაჭრობის თეორიულ საფუძვლებში, საერთაშორისო პოლიტიკის მიერ ქვეყნების შიდა და მსოფლიო კეთილდღეობაზე მოხდენილი გავლენის ანალიზში. კურსი წარმოაჩენს შეფარდებითი უპირატესობის წყაროებს, ვაჭრობიდან მიღებულ სარგებელს და განცდილ ზარალს, საგარეო ვაჭრობის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორებიცაა ტარიფები, ქვოტები, ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები და საექსპორტო სუბსიდიები.
მოლაპარაკებები და კონფლიქტების გადაწყვეტა	5	სასწავლო კურსი სტუდენტებს გააცნობს კონფლიქტების გადაჭრის და მოლაპარაკებების დიპლომატიის ძირითად საკითხებს; კურსი მოიცავს როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ რაკურსს მედიაციის როლზე კონფლიქტების გადაჭრისას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ საკითხებს როგორიცაა: კონფლიქტების ტიპოლოგია, წარმოშობის მიზეზები, კონფლიქტების სტრუქტურა ფუნქცია, დინამიკა, კონფლიქტის სახეობები.
ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკა	5	კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს ევროინტეგრაციის პოლიტიკა, რაც მოიცავს ევროინტეგრაციის ისტორიულ მომოხილვას, ევროინტეგრაციის პროცესის ახსნის ძირითად თეორიულ სკოლებს, ორგანიზაციის ინსტიტუციურ მოწყობას, ასევე, კურსის ფარგლებში განხილული იქნება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველო-ევროკავშირის

		ურთიერთობების ძირითად მექანიზმებს და არსებულ გამოწვევებს.
შედარებითი პოლიტიკა	5	კურსი განიხილავს შედარებითი პოლიტიკის ძირითად თემებს, ცნებებს, თეორიებს და მეთოდებს. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა პოლიტიკური სისტემებისა და ინსტიტუტების შედარებით ანალიზს, რეჟიმების ტრანსფორმაციას, კლასიფიკაციას და მათ კავშირს ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებასთან.
გეოპოლიტიკა	5	კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ამომწურავი ცოდნა გეოპოლიტიკური ცნებების, ტრადიციების და თანამედროვე პრაქტიკის შესახებ. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე არსებულ ძირითად გეოპოლიტიკურ ხედვებს, რომელიც მოიცავს ძველი ანტიკური ხანიდან თანამედროვე ეპოქამდე პერიოდს.
საქართველოს საგარეო პოლიტიკა	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ სიღრმისეულ ცოდნას საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან თანამედროვე პერიოდამდე, საგარეო პოლიტიკის მიმდინარე საკითხების ჩათვლით. კურსი აცნობს სტუდენტებს ხელმძღვანელობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებს; საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებს; საქართველოს როლს რეგიონულ განზომილებაში - სამხრეთ კავკასიის, შავი ზღვის რეგიონის, აღმოსავლეთ ევროპისა და მის მიღმა მიმდინარე პროცესების ჭრილში.
სტაჟირება	5	სტაჟირების პერიოდში სტუდენტებს ეძლევათ პრაქტიკული უნარების განვითარების საშუალება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გზით. კერძოდ, პრაქტიკის უშუალო ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად, სტუდენტი გამოიმუშავებს ისეთ უნარებს, როგორიცაა დავალებების პრიორიტეტული გადანაწილება, სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.
საბაკალავრო ნაშრომი	5	საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის ფინალურ ეტაპს. მისი მიზანია წარმოაჩინოს სტუდენტის მიერ საკვლევი თემის კრიტიკულად გაანალიზების უნარი ხელმძღვანელის მეთვალყურეობის პირობებში.

		საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას ძირითადი ყურადღება ეთმობა საკვლევი შეკითხვის და კვლევის მეთოდის სწორად შერჩევას, საკითხთან დაკავშირებული თეორიული და ემპირიული მასალის ანალიზს.
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები		
მსოფლიო დიპლომატია: თეორია და პრაქტიკა	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ცოდნას დიპლომატიის ევოლუციური ბუნებისა და მისი როლის თაობაზე თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში. საგანი საგანგებო ყურადღებას უთმობს დიპლომატიის განვითარების პროცესს, როგორც საგარეო პოლიტიკის წარმართვის მთავარ ინსტრუმენტს, და ამ მიმართებით, სახელმწიფოებისა და სხვა გლობალური მოთამაშეების საქმიანობის გამოცდილებას.
პოსტ-საბჭოთა სივრცე საერთაშორისო პოლიტიკაში	5	კურსის მსვლელობისას განხილული იქნება საბჭოთა კავშირის დაშლის წინაისტორია; ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა და თანდმევი საგარეო და საშინაო შედეგები; პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური ტრანზიცია. კურსის მსვლელობისას ასევე იქნება განხილული, საერთაშორისო აქტორების როლი პოსტ-საბჭოთა რეგიონში და რუსეთის რეგიონული პოლიტიკა.
აშშ-ის საგარეო პოლიტიკა	5	კურსის ფარგლებში განხილულია აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარი საკითხები და მიმართება საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ცვლილებასთან. კურსი იწყება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საწყისების გაცნობით კოლონიურ და რევოლუციურ ეპოქაში და სრულდება ქვეყნის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის განხილვით უმთავრეს საერთაშორისო გამოწვევებთან მიმართებით.
ტერორიზმი და კონტრ-ტერორიზმი	5	კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს თანამედროვე ტერორიზმის ძირითადი მიმართულებები, მნიშვნელოვანი ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგიური საფუძვლები, მიზნები და მოქმედების მეთოდები. სტუდენტები გაეცნობიან ტერორიზმის ისტორიულ ევოლუციას, მის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, და თანამედროვე, პოსტ-მოდერნული ტერორიზმის თავისებურებებს.
ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად საკითხებს, ორგანიზაციის პოლიტიკურ მნიშვნელობას. სტუდენტები შეისწავლიან ევროპის

		საგარეო პოლიტიკის გავლენებს, წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობებს და ვალდებულებებს ორგანიზაციაში, მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებს, მსოფლიოში არსებულ საფრთხეებს და ორგანიზაციის პოლიტიკის გავლენას ამ პრობლემების მოგვარებაში.
შესავალი კონფლიქტების კვლევაში	5	კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს კონფლიქტების არსი, კლასიფიკაცია, მათი წარმოშობის მიზეზები და მთავარი მახასიათებლები. კურსი ასევე განიხილავს კონფლიქტების თეორიულ დისკურსს. გარდა ამისა, სტუდენტები გაანალიზებენ საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების, ზესახელმწიფოების და არასამთავრობო სექტორის როლს კონფლიქტებთან მიმართებით.
შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში	5	კურსის ფარგლებში სტუდენტი იძენს კონცეპტუალურ ცოდნას საგარეო პოლიტიკის ძირითადი ცნებების, გადაწყვეტილებების მიზეზების, მათი შედეგების, ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ სხვადასხვა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კუთხით. სახელწიფოთა შორის საგარეო პოლიტიკის წარმართვის კლასიკური ცოდნის გარდა, კურსი სტუდენტს აცნობს სწავლების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით (state-of-art in foreign policy studies), საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართული მონაწილეების საკითხებს, რაც მოიცავს როგორც ტრადიციულ ასევე კრიტიკულ თეორიულ მიდგომებს ზესახელმწიფოებრივი აქტორების ქცევის ასახსნელად.
სოციალური მოძრაობები საერთაშორისო ურთიერთობებში	5	კურსი მიმოიხილავს სოციალური მოძრაობების ეფექტურობასა და ზეგავლენას სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. იგი ორიენტირებულია როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონალური სოციალური მოძრაობების სწავლებაზე. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სოციალურ მეცნიერებებში ჩამოყალიბებული კონცეფციები და თეორიები სოციალური მოძრაობების დინამიკისა და ხასიათის უკეთ გასააზრებლად; უფრო ღრმა ანალიზის მიზნით კურსის ფარგლებში ისწავლება მე-20 და 21-ე საუკუნის სოციალური მოძრაობების მაგალითები.
საზოგადოება და კულტურა	5	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტის რეფლექსია საზოგადოებისა და კულტურის ურთიერთმიმართების ისეთ ძირითად ასპექტებზე,

		როგორიცაა: კულტურის ცნების გენეზისი, კულტურის ფუნქციები, კულტურის არტეფაქტები, ცივილიზაციათა შორის კონფლიქტი, ურთიერთმიმართება სოციუმსა და კულტურას შორის, კულტურის კრიზისი როგორც ადამიანის კრიზისი, კულტურაში მნიშვნელობათა წარმოება და მათი გავლენა ადამიანის ქცევაზე.
შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან საერთაშორისო უსაფრთხოებას, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალურ დისციპლინას და მიიღებენ საბაზისო ცოდნას სფეროში არსებული გამოწვევების, ტრანსფორმაციისა და პერსპექტივების შესახებ. შეასწავლიან თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტების სპეციფიკას და მათ გავლენას საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.
დაზვერვა და ეროვნული უსაფრთხოება	5	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შესძინოს ცოდნა ეროვნული უსაფრთხოებისა და სპეცსამსახურების საქმიანობის ძირითადი საკითხების შესახებ, რომლებიც როგორც საშინაო პოლიტიკის ისე საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უზრუნველყოფენ, როგორც, ლოკალურ, ისე რეგიონალურ და გლობალურ უსაფრთხოებას. კურსის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას თითოეული განხილული სახელმწიფოს სპეცსამსახურის სტრუქტურების და უსაფრთხოების სისტემების შესახებ.
აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში	5	კურსის განმავლობაში განხილული იქნება რეგიონის ძირითადი აქტორები, ინსტიტუტები და მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები. მიმართულების დავიწროების მიზნით, ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება სამი აქტორის ურთიერთობებზე (ჩინეთი, იაპონია და აშშ) და მათ გავლენაზე რეგიონზე.
რუსეთის საგარეო პოლიტიკა	5	სასწავლო კურსის ძირითადი მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს რუსეთის დღევანდელი პოლიტიკის არსი, როგორც საგარეო, ასევე საშინაო დარგში. კურსი მოიცავს თემებს, როგორებიცაა: რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები, საგარეო პოლიტიკა და თავდაცვის სისტემის მოდერნიზება.
უძველესი და თანამედროვე იმპერიალიზმი	5	კურსი კონცეპტუალური ისტორიის კერძოდ კი, იმპერიალიზმის გარშემო იშლება. ისტორიის ყველა პერიოდი შეესწრო სამხედრო, კულტურულ

		და ეკონომიკურ ძალმომრეობას, ერთი ხალხის მიერ მეორის დამორჩილებას "იმპერიის" მოდელირებით. კურსი მოიცავს "იმპერიალიზმის" გამოვლენის მრავალსახეობას (ძველ პერიოდში, შუა საუკუნეებსა და თანამედროვე მსოფლიოში), ეძიებს მიჯნებს და ძირითად მახასიათებლებს, აზუსტებს კულტურულ და ინტელექტუალურ საფუძვლებს, განსაზღვრავს მრავალსახოვან ფორმატს და მექანიზმებს, სადაც ერთი კულტურა ცდილობს თავი მოახვიოს მეორეს, პირდაპირი და არაპირდაპირი გზით.
თურქეთის საგარეო პოლიტიკა	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიძენენ ცოდნას თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და მისი სტრატეგიული ინტერესების შესახებ. განხილული იქნება თურქეთის როლი კავკასიის რეგიონში სტაბილურობის დაცვისა და არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხებში.
ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში	5	კურსის მიზანია სტუდენტებისთვის ლათინური ამერიკის რეგიონის გაცნობა, ლათინური ამერიკის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებსა და საგარეო პოლიტიკაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა, რეგიონისთვის დამახასიათებელი ისეთი პოლიტიკური პროცესების გაანალიზება, როგორებიცაა რევოლუცია, პოპულიზმი, ავტორიტარიზმი, კაუდილიზმი, დემოკრატიზაცია. კურსის დიდი ნაწილი დაეთმობა რეგიონში არსებულ საერთაშორისო კონფლიქტებს, რეგიონული უსაფრთხოებისა და ინტეგრაციის საკითხებს, ენერგოპოლიტიკას, პოლიტიკურ ეკონომიკას და რეგიონის ქვეყნებისთვის დამახასიათებელ იდენტობის პრობლემას.
ადამაიანის უფლებების თეორია და პრაქტიკა	5	კურსის ფარგლებში განხილულია სახელმწიფოსა და პიროვნების სამართლებრივი ურთიერთობა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა რაკურსით; ადამიანის უფლებათა წარმოშობის ისტორია, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ მსოფლიოში შექმნილი კონსტიტუციები და დეკლარაციები, მათი არსი და ძირითადი პრინციპები.
მსოფლიო პოლიტიკური და სოციალური გეოგრაფია	5	აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან იმ პოლიტიკურ და სოციალურ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი მსოფლიოს მოსახლეობა. კურსის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ და გაანალიზნონ

		პოლიტიკურ-სოციალური გეოგრაფიის ძირითადი თეორიები და მეთოდები.
საქართველოს ისტორია	5	აღნიშნული კურსი შეისწავლის ფართო რეგიონულ და ტრანს-რეგიონალურ კონტექსტში საქართველოს ისტორიის ძირითად ასპექტებს, დაწყებული უძველესი დროიდან თანამედროვე ისტორიული პერიოდით დასრულებული.
სტატისტიკის საფუძვლები	5	კურსი მისცემს სტუდენტებს საბაზისო ცოდნას სტატისტიკის მიმართულებით; გამოუმუშავებს მათ მონაცემთა შეგროვების და მათი სწორად შერჩევის და დამუშავების ძირითად უნარებს.
მსოფლიო ეკონომიკის ისტორია	5	სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებისთვის ეკონომიკური განვითარების ისტორიული ეტაპების შესახებ ძირითადი ინფორმაციის გაცნობა. კურსი აქცენტს აკეთებს, მსოფლიო ისტორიის ეკონომიკურ ასპექტებზე და მიზნად ისახავს სტუდენტებში გააღრმავოს ცოდნა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის შესახებ უძველესი დროიდან დღემდე.
ეკონომიკური აზრის ისტორია	5	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მსოფლიოში აღიარებულ ეკონომიკური დოქტრინებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ეკონომიკური მეცნიერებისა და მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას. სტუდენტები გაეცნობიან ეკონომიკის თეორიული მიდგომების კონტრასტებს და იმ წინააღმდეგობებს, რომელიც არსებობდა და არსებობს ეკონომიკური სწავლებების სხვადასხვა სკოლას შორის.
ევროპული ინტეგრაციის ეკონომიკა	5	კურსი მოიცავს ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის, მისი ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის საკითხების, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის და მისი ინსტიტუტების ისტორიული ევოლუციის ანალიზს; ის მისცემს სტუდენტებს ევროკავშირში გამოყენებული ინტეგრაციული მეთოდების დეტალურ ცოდნას.
მონეტარული ეკონომიკა	5	კურსი უზრუნველყოფს ფულის ზოგადი წონასწორობის მოდელების და მოკლევადიან პერსპექტივაში ფულად–საკრედიტო პოლიტიკის რეალური ეფექტების ფართო გაანალიზებას; ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების მუშაობის ძირითადი პრინციპების შესწავლას.
თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა	5	კურსის მიზანია სტუდენტები გააცნოს მსფოლიოში არსებული მსხვილი ეკონომიკური სუბიექტების (ქვეყნების, ქვეყანათა ჯგუფებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების) მიმდინარე

		ეკონომიკური საქმიანობას, ბოლო პერიოდში განვითარებულ მსოფლიო ეკონომიკურ ცვლილებებს და მათ შედეგებს; კურსის ფარგლებში სტუდენტები გააანალიზებენ საერთაშორისო ვაჭრობის მოდელებსა და თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერთა თუ მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს.
საქართველოს ეკონომიკა	5	კურსის განმავლობაში სტუდენტები მიიღებენ ცოდნას საქართველოს ეკონომიკის, როგორც ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებების შესახებ; შეისწავლიან სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თანამედროვე პერიოდამდე საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების არსსა და თავისებურებებს.
სამართლის საფუძვლები	5	კურსი მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტებს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, სამართლის ძირითადი პრინციპები, კატეგორიები და ინსტიტუტები.
მაკროეკონომიკა	5	კურსის ფარგლებში სტუდენეტები შეისწავლიან მაკროეკონომიკური ინსტრუმენტების არსსა და გამოყენების თავისებურებებს; მაკროეკონომიკური გარემოს გაანალიზებისა და შეფასების ტექნიკას. სტუდენტები გააანალიზებენ ეკონომიკურ პოლიტიკას მაკრო დონეზე და (განსაზღვრავენ) მონატერული და ფისკალური პოლიტიკის გავლენას ეკონომიკაზე.
ფსიქოლოგია	5	კურსი სტუდენტებს მისცემს ფართო ცოდნას ზოგადი ფსიქოლოგიის ძირითად ემპირიულ და თეორიულ საკითხებში, როგორიცაა ცნობიერებისა და არაცნობიერის კატეგორიები, ემოციური და მოტივაციური ფსიქიკური პროცესების მონაცემები და კანონზომიერებები, პიროვნებისა და ქცევის ნიშან-თვისებები.
სკანდინავიის ქვეყნების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა	5	კურსის მიზანია სკანდინავიის რეგიონის შესახებ ფართო ცოდნის მიცემა სტუდენტებისთვის, რათა მათ შეეძლოთ სკანდინავიის ქვეყნების მაგალითზე პატარა ქვეყნების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა და შეფასება. კურსი ასევე მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს, რა ფაქტორები განაპირობებს სკანდინავიის რეგიონის სახელმწიფოების განსხვავებულ მიდგომებს უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების სფეროში.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია	5	სასწავლო კურსი განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთქმედებას, თუ როგორ გარდაქმნის საერთაშორისო ურთიერთობებს სახელმწიფო და ბაზარი; სტუდენტები შეძლებენ გამოიკვლიონ მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროს ძირითადი და პრობლემური საკითხები. სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნობს XX-XXI საუკუნის პოლიტიკური ეკონომიკის ძირითადი ასპექტები, მისცეს ცოდნა მთავარი სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების როლის შესახებ მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში.
საჯარო პოლიტიკა	5	კურსის განმავლობაში ძირითადი ყურადღება ეთმობა პოლიტიკის პროცესის თავისებურებებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის მახასიათებლებიდან გამომდინარე. კურსი დაეხმარება სტუდენტს გააცნობიეროს საქართველოში საჯარო პოლიტიკის დაგემგვის, განხორციელების და შეფასების პროცესი, მასზე გავლენის მოხდენის მსურველი აქტორების მოტივაცია და მიზნები. ქართული მაგალითების გარდა, კურსში განხილული იქნება აშშ-ის საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის შემთხვევები.
კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში	5	სასწავლო კურსის ფარგლებში განხილული იქნება კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტკაში, ასევე რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. გაანალიზებული იქნება ის ძირეული მიზეზები, რომლებიც საფუძვლად დაედო რეგიონში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, თუ ეკონომიკურ მდგომარეობას.
ენერგეტიკის საერთაშორისო პოლიტიკა	5	სასწავლო კურსის განმავლობაში განხილული იქნება ნავთობისა და გაზის საერთაშორისო პოლიტიკა განსაკუთრებული აქცენტით, შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონზე. გაანალიზებული იქნება, თუ როგორ გამოიყენებოდა და გამოიყენება ეს პოლიტიკა სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად; რა განსხვავებაა აშშ-ის, ევროკავშირისა და რუსეთის ენერგო პოლიტიკებს შორის; რამდენად შეუძლით პატარა ქვეყნებს თავიდან აიცილონ წამყვანი სახელმწიფოების ენერგო ინტერესების გამო გამოწვეული პრობლემები.

საქართველოს პოლიტიკური სისტემა	5	კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემა, წარმოდგენა შეუქმნას ხელისუფლების შტოების ფუნქციების, მოქმედების საშუალებების შესახებ; ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ფუნქციების და მოვალეობების განაწილების შესახებ; დაანახოს თუ რა როლი ეკისრება სამოქალაქო საზოგადოებას პოლიტიკურ სისტემაში.
პოლიტიკური ფსიქოლოგია	5	კურსი მოიაზრებს პოლიტიკური ფსიქოლოგიის საბაზისო ცნებებისა და საკითხების შესწავლას, როგორებიცაა ემოციის გავლენა პოლიტიკური და პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, ხმის მიცემა და პოლიტიკური რეკლამირება, რასობრივი ურთიერთობები, სამთავრობო დაწესებულებების ლეგიტიმურობა, აზრებისა და მსოფლმხედველობის ფორმირება.
ნაციონალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში	5	კურსი მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებში ნაციონალიზმის როლისა და სხვადასხვა სახელმწიფოების, ლიდერებისა და საზოგადოებების ნაციონალისტური პოლიტიკის ანალიზს. კურსის ფარგლებში ნაციონალიზმი განხილული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების კონტექსტში და, ამავდროულად, მოხდება გლობალური მასშტაბის ისტორიული და მიმდინარე შემთხვევების ძირეული მიმოხილვა.
კარიერული განვითარება	5	კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა კარიერის დაგეგმვა, განვითარება და მართვა; ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება სამუშაოს აქტიური ძიების პროცესს - ეფექტური CV-ის, სამოტივაციო წერილის შედგენას, ეფექტური Linkedin პროფილის შექმნას, სამუშაო გასაუბრებისთვის მომზადებას;
სტრატეგიული კომუნიკაციები	5	კურსის მიზანია სტუდენტებმა გაიაზრონ ინფორმაციისა და კომუნიკაციის მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფოთაშორის დონეზე ასევე, სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობაში. აღმოაჩინონ ის „ინფორმაციული და საკომუნიკაციო პარადოქსები“, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებასა და სახელმწიფოებში ინფორმაციის სიჭარბემ და „უწესრიგობამ“ გამოიწვია.

ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონის პოლიტიკა	5	კურსი მოიცავს შუა საუკუნეებიდან დღემდე პერიოდს და განიხილავს რეგიონში არსებულ პოლიტიკურ, ისტორიულ და სოციალურ პროცესებს. სტუდენტები მოკლედ გაეცნობიან რეგიონის ქვეყნების ისტორიული წარსულის მნიშვნელოვან მოვლენებს, მათი განვითარების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ასპექტებს; ყურადღება გამახვილდება სპარსეთის ყურის ქვეყნების ენერგორესურსების მნიშვნელობაზე, რეგიონის ქვეყნების დეკოლონიზაციის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე და რეგიონის აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების ნიუანსებზე.
ნატოს როლი საერთშორისო ურთიერთობებში	5	კურსი სტუდენტებს გაუღრმავებს ცოდნას ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის, მისი დაარსების ისტორიის, ორგანიზაციის პოლიტიკური მნიშვნელობის, ნატოს გაფართოების, მისი ძირითადი ინსტიტუტების და მათი ფუნქციონირების შესახებ. სტუდენტები შეისწავლიან ორგანიზაციის პოლიტიკის გავლენას საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებაზე; ნატოს სტრატეგიული კონცეფციის ტრანსფორმაციას ცივი ომის შემდგომ, ორგანიზაციის თანამედროვე გამოწვევებს; ნატო-საქართველოს ურთიერთობებსა და თანამშრომლობის ძირითად ჩარჩოებს.
მართვა-გამგეობა და პოლიტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ქვეყნებში	5	კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ცენტრალური და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების თავისებურებანი, მათი მსგავსება და განსხვავება, განვითარებისა და ფორმირების ისტორიულ-პოლიტიკური პირობები, პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების ნიმუშები. კონსოლიდირებულ დემოკრატიასა და ახალ დემოკრატიებს შორის კონტრასტის მეშვეობით სტუდენტებს მიეცემათ საშუალება თვალი გაადევნონ და კრიტიკულად გაანალიზონ აღნიშნული ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება და გაიაზრონ პოსტ-სოციალისტური დემოკრატიზაციის პროცესები.
უცხო ენები		
უცხო ენები: ესპანური, თურქული, რუსული, გერმანული, ფრანგული (A 1.1; A 1.2; A 2.1; A 2.2 დონეები)	5	

ინგლისური ენა (A1, A2, B1, B2.1, B2.2, C1 დონეები)	5	
აკადემიური წერა		
აკადემიური წერა	5	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიძენენ აკადემიური წერითი დისკურსის უნარჩვევებს (კვლევითი/აკადემიური ნაშრომის კომპოზიციური, ენობრივი და სტილური თავისებურებების სწავლება და შესაბამისი უნარჩვევების განვითარება). კურსის მიზანია აკადემირი წერის შინაარსობრივი მოთხოვნებისა და ტექნიკური სტანდარტების სწავლება, სტუდენტებისათვის კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის უნარის განვითარება.
ინფორმაციული ტექნოლოგიები		
ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან ოფისის პროგრამებს, რათა შეასრულონ სხვადასხვა დავალებები, მოახდინონ მონაცემთა ანალიზი, შედეგების წარდგენა პრეზენტაციის მეშვეობით.
დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები/თავისუფალი კრედიტები		

სწავლის შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები ფლობენ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს დარგში წარმატებული საქმიანობისათვის.

საერთაშორისო ურთიერთობების დარგის ინტერდისციპლინური ბუნების გათვალისიწნებით, პროგრამის კურსდამთავრებულები ფლობენ ფართო ცოდნას პოლიტიკის მეცნიერების, სამართლისა და ეკონომიკის სფეროებში; კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარებს დარგის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან და სფეროებთან მიმართებით, როგორიცაა დიპლომატია, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო უსაფრთხოება, საერთაშორისო ეკონომიკა, საერთაშორისო განვითარება, გლობალური მმართველობა; აცნობიერებენ და აანალიზებენ თანამედროვე საერთაშორისო ურთეირთობების უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს. ამასთან, პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვლევის დიზაინის, მეთოდოლოგიისა და მეთოდების სწავლებას, რის შედეგადაც, პროგრამის კურსდამთავრებულები, ასევე, ფლობენ დარგობრივ კვლევებში მონაწილეობისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს.

იმისათვის, რომ კურსდამთავრებულებმა წარმატებით მოახერხონ დარგში პრაქტიკული საქმიანობის წარმართვა, პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია მრავალფეროვანი კომპონენტები ცოდნის პრაქტიკაში გამოყენის უნარების გამომუშავებისათვის. შედეგად, კურსადმთავრებულებს შეუძლიათ საერთაშორისო ურთიერთობების საკითხების ანალიზი, შეფასება და მათთან დაკავშირებით, ზეპირი და წერილობითი მსჯელობა; ანალიტიკური და კვლევითი ნაშრომების მომზადება, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობა, ფლობენ ლიდერობის, თანამშრომლობით და ორგანიზაციულ უნარებს; შეუძლიათ თვითგანვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა და დაგეგმვა. აღნიშნული უნარების განმავითარებელი კომპონენტების შემუშავება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის, სტუდენტების,

აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების საშუალებით ხორციელდება. პროგრამა ასევე სთავაზობს სტუდენტებს სტაჟირების შესაძლებლობებს საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე მომუშავე საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში. შედეგად, კურსდამთავრებულები ფლობენ სამუშაო გამოცდილებასა და მრავალფეროვან პრაქტიკულ უნარებს, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

შეფასების სისტემა

მაქსიმალური შეფასება ყოველი კურსისთვის შეადგენს 100 ქულას. პროგრამებზე, კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამისაგან. ამასთან სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. შუალედური/დასკვნითი შეფასებისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ასახულია შესაბამის სილაბუსში.

საკრედიტო სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა.

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა.

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა.

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა.

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს რომ. სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ჯამური შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების დაჯამების საფუძველზე.